თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2023 წლის 3 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი N 1

2023 წლის 3 თებერვალს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ალექსანდრე დაუშვილი, ელდარ ბუბულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. ინსტიტუტის 2023 წლის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა;
2. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ინსტიტუტის 2023 წლის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს გააცნო 2023 წელს განსახორციელებელი სამეცნიერო ღონისძიებები; კერძოდ, ინსტიტუტის ორგანიზებით ჩასატარებელი სამეცნიერო კონფერენციები: 1. გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება თბილისში და სავარაუდოდ, ჩატარდება 10-14 სექტემბერს; 2. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური დისკუსია „საუბრები ეთნოლოგიაზე", რომელშიც სასურველია, მონაწილეობა მიიღონ საქართველოში არსებული სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენელმა ეთნოლოგებმა. აღნიშნული ღონისძიება სავარაუდოდ, გაიმართება ბათუმში 23 ნოემბერს; 3. მიმდინარე წელს რევაზ კიკნაძეს უსრულდება დაბადებიდან 100 წელი და სასურველია, აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, დეკემბრის თვეში ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია.

მინდა გაცნობოთ, რომ მომავალი წლიდან იგეგმება უნივერსიტეტებში არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების წესის ცვლილება. მიმდინარე წელს განხორციელდება ინსტიტუტების მონიტორინგი, შეფასდება პერსონალის მრავალწლიანი მოღვაწეობა და სამეცნიერო აქტივობა, ამიტომ ჩვენ ინტერესშია თანამშრომლებმა პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ რეფერირებად გამოცემებში ინსტიტუტის აფილაციით გამოაქვეყნონ და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში.

გიორგი ჭეიშვილი: ინსტიტუტის საქმიანობის შეფასების დროს აუცილებლად მიექცევა ყურადღება უცხოეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. არის შემოთავაზება დავით ყოლბაიასგან, რომ პოლონეთში გამომავალ ჟურნალ „Pro-Georgia"-ში დაბეჭდავს დაახლოებით

7–8 სტატიას; გარდა ამისა, რუმინეთში გამოდის ჰუმანიტარული მიმართულების ჟურნალი, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სტანდარტებით და იქაც შესაძლებელია სტატიების გამოქვეყნება.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს**: მარიამ ჩხარტიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა, ვაჟა კიკნაძემ, ლიანა ბითაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა.

მოისმინეს:

2. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს ინსტიტუტის ბიუჯეტის მუხლში: „საქონელი და მომსახურება“ გათვალისწინებულია 38 000 ლარი, საიდანაც 10 000 ლარი მოხმარდება კრებულების გამოცემას; საქართველოს ეთნოლოგიისა და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებების საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებზე დაიხარჯება 9 000 ლარი; 13 000 ლარი დაიხარჯება კომუნალურ გადასახადებზე; 6 000 ლარი გათვალისწინებულია სხვადასხვა საოფისე ხარჯისთვის და ჰიგიენურ–სანიტარული ნივთების შესაძენად.

განყოფილებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, მიმდინარე წლის თებერვლის ბოლომდე, თქვენი განყოფილებების თანამშრომლებმა წარმოადგინონ დასრულებული წლიური ნაშრომები. ასევე, გთხოვთ, მიმდინარე წელს განყოფილებების კრებულები გამოსაცემად მზად იყოს სექტემბრის თვეში, რათა წლის ბოლომდე მოესწროს დაბეჭდვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში გამოცხადდება კონკურსი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

გაიმართა მსჯელობა: გამოითქვა მოსაზრება, რომ მიმდინარე წელსაც გაგრძელდეს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარი „საინსტიტუტო საუბრები.“

სხდომამ დაადგინა: ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია მიმდინარე წელს ინსტიტუტის ორგანიზებით დაგეგმილი სამეცნიერო ფორუმების ჩატარების შესახებ.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

03. 02. 2023

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2023 წლის 3 თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი